

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის
სხდომის ოქმი N7**

სხდომის ჩატარების თარიღი: 2026 წლის 28 აპრილი, 14:00 საათი
სხდომის ჩატარების ადგილი: ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობა, საკონფერენციო დარბაზი N210,
მის. რუსთაველის გამზ. N3

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის
N7 სხდომას უძღვება საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბესიკ ჩეჩელაშვილი.

ესწრებოდნენ :

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის
წევრები: კომისიის თავმჯდომარე **ბესიკ ჩეჩელაშვილი**.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები: გიორგი ჭიღვარია, ამირან
კოპალეიშვილი, მარეხი ნიჟარაძე, ალექსანდრე თამაზაშვილი, სანდრო ნერგაძე, აკაკი
გიორგაძე, მანანა ჩიხლაძე, იოსებ კუჭავა, ელენონორა არჩაია, ალექსანდრე მიქაუტაძე.

სულ : 11 წევრიდან-11 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული
ერთეულის - შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი ბატონი გაგა სანდუხაძე.

სხდომა გახსნა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ,
ბატონმა ბესიკ ჩეჩელაშვილმა. მან აღნიშნა: მოგესალმებით, დღეს ჩვენ ვატარებთ
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომას. დღის წესრიგი და მასალები კომისიის
წევრებთან წინასწარ გადმოიგზავნა.

**საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბესიკ ჩეჩელაშვილმა
წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:**

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული
ერთეულის - შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2025 წლის იანვრიდან 2026 წლის
აპრილამდე გაწეული მუშაობის შესახებ.

გაგა სანდუხაძე

/ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის

პირველადი სტრუქტურული ერთეულის

შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი/

2. მიმდინარე საკითხები

ღია კენჭისყრით, ერთხმად დაადგინეს:

დამტკიცდეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ბ. ჩეჩელაშვილმა:

დღეს ვატარებთ მორიგ სხდომას, დღის წესრიგის თანახმად, პირველი საკითხი არის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2025 წლის იანვრიდან 2026 წლის აპრილამდე გაწეული მუშაობის შესახებ მოხსენების მოსმენა.

დეტალური ინფორმაციისთვის სიტყვას გადავცემ ქალაქ ქუთაისის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელს ბატონ გაგა სანდუხაძეს.

მოისმინეს: ქალაქ ქუთაისის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელის გაგა სანდუხაძის მოხსენება: **„მოგესალმებით, შიდა აუდიტი** არის დამოუკიდებელი, ობიექტური, **მარწმუნებელი და საკონსულტაციო** საქმიანობა, რომელიც ქმნის დამატებით ღირებულებას და აუმჯობესებს დაწესებულების ფუნქციონირებას. იგი დაწესებულებას ეხმარება მიზნების მიღწევაში რისკის მენეჯმენტის, კონტროლისა და მართვის ავტონომიური პროცესების შეფასებასა და გაუმჯობესებაში, სისტემური და ორგანიზებული მიდგომის გამოყენებით. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - შიდა აუდიტის სამსახური ჩამოყალიბდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის №91 განკარგულებით. სამსახურის დებულებაში ცვლილება შევიდა ქალაქ ქუთაისის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის N25 დადგენილებით. სამსახურის მიერ შიდა აუდიტორული საქმიანობის ეფექტიანობის გაძლიერებისა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების სრულფასოვანი მონიტორინგისათვის 2023 წლის 7 ივლისს საკრებულოს დადგენილებით კვლავ შევიდა ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის №25 დადგენილებაში, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა **შიდა აუდიტისა და რეკომენდაციების მონიტორინგის**

განყოფილებები. ზემოაღნიშნულმა სტრუქტურულმა ცვლილებამ სამსახურს საშუალება მისცა მეტად დაახლოებოდა საუკეთესო პრაქტიკას და სრულყოფილად განხორციელებინა გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - შიდა აუდიტის სამსახური ახორციელებს დაწესებულების საქმიანობის გაუმჯობესებისაკენ, მისი მიზნების მიღწევის უზრუნველყოფისა და ამოცანების სრულყოფილად შესრულებისაკენ მიმართულ დამოუკიდებელ, ობიექტურ, მარწმუნებელ და საკონსულტაციო საქმიანობას, რომელიც სისტემატიზებული, დისციპლინირებული და ორგანიზებული მიდგომით აფასებს და აუმჯობესებს რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესების ეფექტიანობას. შიდა აუდიტის სამსახური ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის განვითარების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის შესაბამისად, შეიმუშავებს **სტრატეგიულ და წლიურ გეგმებს**, რომლის საფუძველზეც ხორციელდება სამსახურის საქმიანობა. შიდა აუდიტის სამსახურის სტრატეგიული გეგმა მოიცავს სამწლიან პერიოდს და განსაზღვრავს პრიორიტეტულ მიმართულებებს, რომელთა განხორციელებაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტისათვის საშუალოვადიან პერსპექტივაში. სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას, სამსახური ითვალისწინებს ქალაქის წინაშე მდგარ გამოწვევებს, რაც მნიშვნელოვანია საქმიანობის დაგეგმვისათვის. სამსახური შეიმუშავებს და გასცემს რეკომენდაციებს, ახორციელებს გაცემული რეკომენდაციების შესრულების უწყვეტ მონიტორინგსა და შესაბამის ანგარიშგებას. სამსახური თავისი საქმიანობის განხორციელებისას თანამშრომლობს სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის დეპარტამენტთან („ჰარმონიზაციის ცენტრი“), ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სხვა მუნიციპალიტეტების შიდა აუდიტის სუბიექტებთან, რომლის ფარგლებში მუდმივ რეჟიმში ხორციელდება გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისათვის.

ზოგადი მიმოხილვა

პირველადი სტრუქტურული ერთეული — შიდა აუდიტის სამსახური შიდა აუდიტორულ შემოწმებებს ახორციელებს დაწესებულების წინაშე მდგარი რისკების შეფასების საფუძველზე შემუშავებული შიდა აუდიტის სტრატეგიული და წლიური გეგმების შესაბამისად.

შიდა აუდიტის სამსახურის წლიური გეგმა ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას, რაც მოიცავს თვითმმართველი ქალაქის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, მის მისიასა და სტრატეგიულ მიზნებს, რომლებიც განსაზღვრულია შესაბამის ნორმატიულ და

სტრატეგიულ დოკუმენტებში.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 29 ნოემბრის N 844.442233315 ბრძანებით დამტკიცდა შიდა აუდიტის სამსახურის 2023–2025 წლების სტრატეგიული გეგმა. 2025 წელს სამსახურის მიერ განახლდა სტრატეგიული გეგმა და პრიორიტეტული მიმართულებები განისაზღვრა 2026-2028 წლებისათვის, რომელიც დამტკიცდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 29 დეკემბრის N844.44253633 ბრძანებით.

აღნიშნული სტრატეგიული გეგმები შემუშავებულია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023–2026 და 2026–2028 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტებზე დაყრდნობით და შეესაბამება „შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 ივლისის N1014 განკარგულებით დადგენილ მოთხოვნებს.

შიდა აუდიტის სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას გამოყენებულ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შიდა ფინანსური კონტროლის დეპარტამენტის („ჰარმონიზაციის ცენტრი“) რეკომენდაციები, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებული რისკების შეფასების მოდელი და შიდა აუდიტის მეთოდოლოგია.

უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებაში გაზრდილია **საკონსულტაციო მომსახურების როლი**, რომლის მოთხოვნა გარდა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირებისა, ხორციელდება სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ. სამსახურის მიერ საკონსულტაციო მომსახურების გაწევა ხდება საოპერაციო საქმიანობაში ჩარევისა და მენეჯერული პასუხისმგებლობების აღების გარეშე და შემოიფარგლება კონკრეტული საკითხების თაობაზე რჩევის მიცემითა და ფასილიტაციით.

განხორციელებული სამუშაო

შიდა აუდიტის სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით, სამსახურის ხელმძღვანელის მიერ შემუშავდა და მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცდა შიდა აუდიტის 2025 და 2026 წლების წლიური გეგმები.

აუდიტორული შემოწმებები

2025 წლის განმავლობაში დაიგეგმა და განხორციელდა შემდეგი ობიექტების შიდა აუდიტორული შემოწმებები:

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქალაქ ქუთაისის ხელბურთის კლუბი ქუთაისი 2015“-ის სისტემური, ფინანსური, ეფექტიანობისა და შესაბამისობის შიდა აუდიტორული შემოწმება;
2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის სისტემური, ეფექტიანობისა და შესაბამისობის შიდა აუდიტორული შემოწმება;
3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საკალათბურთო კლუბი ქუთაისი - 2010“-ის სისტემური, ფინანსური, ეფექტიანობის და შესაბამისობის შიდა აუდიტორული შემოწმება;
4. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქალაქ ქუთაისის მაღლიერების სახლის“ სისტემური, ფინანსური, ეფექტიანობის და შესაბამისობის შიდა აუდიტორული შემოწმება.

2026 წლის აპრილის თვის მდგომარეობით დასრულებულია 1 არაგეგმიური - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქართული ტრადიციები 2011“-ის სისტემური, ფინანსური, ეფექტიანობისა და შესაბამისობის შიდა აუდიტორული შემოწმება.

მიმდინარე პერიოდისათვის ხორციელდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, ადმინისტრაციული სამსახურის სისტემური, ეფექტიანობის და შესაბამისობის შიდა აუდიტორული შემოწმება.

შიდა აუდიტორული შემოწმებების განხორციელებით, აუდიტორულ ანგარიშში აისახება მიგნებები, რაც შესაბამისი დოკუმენტაციის, ზეპირი გასაუბრების ან/და ფაქტობრივი მდგომარეობის ანალიზის შედეგად დგინდება. მიგნებებზე დაყრდნობით, შიდა აუდიტის განყოფილება აფასებს რისკებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომელთა განხორციელებაც დაწესებულებას ხელს უწყობს მის წინაშე არსებული პრობლემებისა და გამოწვევების დაძლევაში, არსებული რისკების შემცირებასა და მართვაში.

გაცემული რეკომენდაციების მონიტორინგი

შიდა აუდიტის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის, რეკომენდაციების მონიტორინგის განყოფილების მიერ 2025 წლის განმავლობაში მომზადდა 4 მონიტორინგის ანგარიში, გადამოწმდა 2024 წელს გაცემული რეკომენდაციებისა და 2023 წლის რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა, შემდეგი ობიექტებისათვის:

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა“;

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახური;
3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „სპეციალური სერვისები“;
4. 2023 წლის რეკომენდაციების გაერთიანებულ ანგარიშში განხილულ იქნა შემდეგი ობიექტები: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება“; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანია“ და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ფოლკლორის ცენტრი - ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი.“

განყოფილების მიერ 2026 წლის გეგმის შესაბამისად მომზადდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქალაქ ქუთაისის ხელბურთის კლუბი „ქუთაისი 2015“-ის რეკომენდაციების მონიტორინგის ანგარიში.

რეკომენდაციების შესრულების შედეგად ობიექტებში დაინერგა საქმიანობის მართვის სისტემური მიდგომები, დადგინდა საკვალიფიკაციო მონაცემები შესაბამისი პოზიციებისთვის, დამკვიდრდა ანგარიშების პრაქტიკა, მუშაობის პროცესშია ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების პროგრამული უზრუნველყოფა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მატერიალურ ფასეულობათა უფრო ეფექტური დაცვისა და აღრიცხვის მიზნით დაგეგმილია სამეურნეო პროგრამის დანერგვა, მუნიციპალიტეტის ცალკეულ სტრუქტურულ ერთეულებსა და დაფუძნებულ იურიდიულ პირებს გაეზარდათ მეტი შემოსავლის მიღების შესაძლებლობა, უზრუნველყოფილ იქნა საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

მიმდინარეობს მუშაობა დარჩენილი რეკომენდაციების შესასრულებლად, რომელთა გათვალისწინება დაწესებულებებს საშუალებას მისცემს საქმიანობა უფრო ეფექტიანად, ეფექტურად და პროდუქტიულად წარმართონ.

შიდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების მიზნით განხორციელებული სამუშაო

შიდა აუდიტის გლობალური სტანდარტები მოითხოვს, რომ აუდიტის ხელმძღვანელმა შეიმუშაოს და შეინარჩუნოს ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროგრამა, რაც მოიცავს შიდა აუდიტის საქმიანობის ყველა სახეს. ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროგრამა იქმნება შიდა აუდიტის საქმიანობის სტანდარტებთან შესაბამისობის შესაფასებლად და ასევე იმის დასადგენად, იცავენ თუ არა შიდა

აუდიტორები პროფესიული ეთიკის კოდექსს. პროგრამა მოიცავს შიდა აუდიტის ფუნქციის ყველა ასპექტს და **უზრუნველყოფს აუდიტის ხარისხიანად და ეფექტურად ჩატარებას.**

სამსახურის ხელმძღვანელის მიერ შემუშავდა **შიდა აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროგრამა**, რომელიც მიზნად ისახავდა შემუშავებულიყო აუდიტის ხარისხის შეფასების ისეთი სტრატეგია, რომელიც დაინტერესებულ მხარეებს უზრუნველყოფს დასაბუთებული რწმუნებით იმის შესახებ, რომ შიდა აუდიტორული საქმიანობა ხორციელდება სამსახურის **დებულებითა და სხვა შესაბამისი რეგულაციებით განსაზღვრული ნორმების შესაბამისად**, რომლებიც თავის მხრივ, შესაბამისობაშია საქართველოში მოქმედ შიდა აუდიტის საქმიანობის მარეგულირებელ აქტებთან, შიდა აუდიტის ეთიკის კოდექსთან და შიდა აუდიტის გლობალურ სტანდარტებთან, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შიდა აუდიტის მიზნების **ეფექტურად და პროდუქტიულად** მიღწევა.

სამსახურის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებულია **„შიდა აუდიტის საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროგრამა“** შესაბამისი დანართებით. შიდა აუდიტორული საქმიანობის ეფექტიანობის **გასაზომად, შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ჩამოყალიბებულია საქმიანობის ეფექტიანობის ინდიკატორები**, აღნიშნული ინდიკატორების შესრულების შეფასება ხდება აუდიტორული საქმიანობის განხორციელების თითოეულ ეტაპზე (დაგეგმვა, განხორციელება, ანგარიშგება, მონიტორინგი).

შიდა აუდიტის ხარისხი განისაზღვრება იმით, თუ რამდენად აკმაყოფილებს აუდიტის სუბიექტი მის მიმართ არსებულ მოლოდინებს და რამდენად შესაბამისობაშია მისი საქმიანობა მოქმედ სტანდარტებთან. **სამსახურის მიზანია უწყების საქმიანობის გაუმჯობესების ხელშეწყობა და მისთვის დამატებითი ღირებულების მოტანა.** შესაბამისად, შიდა აუდიტორული საქმიანობის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია განხორციელდეს მისი პერიოდული შეფასება.

2025 წლის მანძილზე განხორციელებული თითოეული აუდიტორული შემოწმება და განხორციელებული რეკომენდაციების მონიტორინგის პროცესი ფასდებოდა წინასწარ დამტკიცებული კრიტერიუმების მიხედვით, რის შედეგადაც 2025 წლის დეკემბერში სამსახურში მომზადდა ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროგრამის ანგარიში, რომელიც წარედგინა მუნიციპალიტეტის მერს.

შიდა აუდიტორთა პროფესიული განვითარება

სამსახურის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა სემინარებში, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მათ პროფესიულ განვითარებას. საანგარიშო პერიოდში საჯარო მოსამსახურეებმა მონაწილეობა მიიღეს:

ფინანსთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი „ფინანსთა სამინისტროს აკადემიის“ მიერ ორგანიზებულ შემდეგ სწავლება-ტრენინგებში:

„პროექტების დაგეგმვა, პრიორიტეტიზაცია და მართვა“;

„პროფესიული და პროფესიული კომპეტენციების განვითარება“

სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს **სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საჯარო აუდიტის ინსტიტუტის“ მიერ ორგანიზებულ შემდეგ ტრენინგ-კურსებში:**

„ფინანსური თაღლითობა კორუფცია, პრევენცია, გამოვლენა კონტროლი“;

„სისტემური აუდიტი“;

„ეფექტიანობის აუდიტი“;

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის“ მიერ ორგანიზებულ შეხვედრაში „Dariex-ის პროგრამის განხილვა“;

ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ შეხვედრაში „ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საზედამხედველო შესაძლებლობების განვითარება“.

მართვისა და განვითარების გადაწყვეტილებების ჰაბის მიერ ორგანიზებული ტრენინგში თემაზე „ცვლილებების მართვა“;

ფინანსთა სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ტრენინგში „საგადასახადო შემოწმება სახელმწიფო უწყებებში“;

პოლიტიკისა და მართვის კონსალტინგ ჯგუფის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში:

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების მომზადების დოკუმენტი“;

„მუნიციპალური მონაცემები და სტატისტიკა“;

„ქუთაისის ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისთვის“ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული სამუშაო შეხვედრა.

მუნიციპალური ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში, მიმდინარე წელს განხორციელდა სამუშაო პრაქტიკის გაზიარება იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლებთან. ქუთაისის შიდა აუდიტის გუნდმა უმასპინძლა აუდიტის თანამშრომლებს, მოხდა პრაქტიკული მაგალითების განხილვა და სამუშაო ფაილების გაზიარება. აღნიშნულ შეხვედრაზე გამოიხატა შემდგომი ურთიერთთანამშრომლობისა და მხარდაჭერის მზაობა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს“ შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, 2025 წლის აპრილის თვეში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურმა **ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო მართვის ფაკულტეტის** სტუდენტებთან ჩაატარა პროფესიული პრაქტიკის გაზიარების სამუშაო შეხვედრა, სადაც სამსახურის თანამშრომლებმა სტუდენტებს გააცნეს სამსახურის ისტორია, ფუნქციები, შიდა აუდიტორული შემოწმების სახეები, სტრუქტურა, მიზანი, შიდა აუდიტის მარწმუნებელი და საკონსულტაციო საქმიანობის არსი. სამუშაო შეხვედრაზე გაზიარებულ იქნა პრაქტიკული მაგალითები, გაიმართა მსჯელობა შიდა აუდიტის გამოწვევებზე, რის შედეგადაც შეხვედრა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის დეპარტამენტისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირი „ფინანსთა სამინისტროს აკადემიის“ უშუალო ჩართულობით 2023-2025 წლებში დაიგეგმა და განხორციელდა შიდა აუდიტორთა კვალიფიკაციის ამაღლება შიდა აუდიტის სტანდარტებში, რაც გულისხმობდა ქვეყნის მასშტაბით თანამშრომელთა ძირითადი ნაწილის სერტიფიცირებას საჯარო აუდიტის პროგრამის შესაბამისად.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი „ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში“ სამსახურის ხელმძღვანელისა და მოადგილის მიერ წარმატებით დასრულდა „საჯარო სექტორის შიდა აუდიტორთა სერტიფიცირების პროგრამის“ ოთხი მოდული, რის შემდგომაც ზემოაღნიშნულმა პირებმა მოიპოვეს **„საჯარო სექტორის სერტიფიცირებული შიდა აუდიტორის“** სტატუსი.

შიდა აუდიტორთა სერტიფიცირების პროგრამის ჯგუფში გაერთიანებული იყო საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტების შიდა აუდიტის სუბიექტების წარმომადგენლები (ბათუმი, წალენჯიხა, დმანისი, ტყიბული, მესტია და ა.შ.) სამუშაო შეხვედრებისა და ტრენინგ-კურსების განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა სხვა ქალაქებში არსებული პრაქტიკების გაზიარება.

მიმდინარე პერიოდისათვის საჯარო აუდიტის ინსტიტუტი ახორციელებს საჯარო სექტორის აუდიტორთა სერტიფიცირების პროგრამას, რომელშიც მონაწილეობას იღებენ მეორადი სტრუქტურული ერთეულის, შიდა აუდიტის განყოფილების ხელმძღვანელი და მეორადი სტრუქტურული ერთეულის, რეკომენდაციების მონიტორინგის განყოფილების ხელმძღვანელი.

აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობა ხელს შეუწყობს საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს საჯარო ფინანსების უფრო ეფექტიან და მიზნობრივ ხარჯვას. სამსახურის თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტის („პარმონიზაციის ცენტრი“) მიერ ორგანიზებულ ტრენინგებსა და ვებინარებში, ასევე

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საჯარო აუდიტის ინსტიტუტის“ მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში. სამსახური მუდმივ რეჟიმში ახორციელებს პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების მოძიებას მათში მონაწილეობის მისაღებად.

შიდა აუდიტის სამსახური აგრძელებს დებულებით, სტრატეგიული და წლიური გეგმებით დაკისრებული ფუნქციების შესრულებას.

აზრი გამოთქვას

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბ. ჩეჩელაშვილი: რა კრიტერიუმებით არჩევთ შესამოწმებელ ობიექტებს და ჩატარებული შემოწმების შემდეგ რა მექანიზმებს იყენებთ? მაგალითად, გაცემთ რეკომენდაციებს თუ სხვა საშუალებებსაც მიმართავთ?

შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი გ. სანდუხაძე: შიდა აუდიტის ფუნქცია მოიცავს ფართო სპექტრის საქმიანობას, რომელთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დაგეგმვის პროცესს. შიდა აუდიტის გეგმა დგება სტრატეგიული გეგმის საფუძველზე და ითვალისწინებს რისკებზე დაფუძნებულ მიდგომას. აღნიშნულის ფარგლებში, შპს-ებსა და ააიპ-ებს ეგზავნებათ სპეციალური კითხვარი, რომელიც მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა: ორგანიზაციის ბიუჯეტი, თანამშრომელთა რაოდენობა, ასევე განხორციელდა თუ არა ხელმძღვანელის ცვლილება. კითხვარის თითოეულ პასუხს ენიჭება შესაბამისი ქულა, ხოლო ქულების შეჯამების შედეგად გამოიკვეთება მაღალი რისკის მქონე ობიექტები, რომლებიც შემდგომში აუდიტის გეგმის ფარგლებში განიხილება პრიორიტეტულად. ამასთანავე, გეგმაში გათვალისწინებულია არაგეგმიური შემოწმებების განხორციელების შესაძლებლობაც, იმ შემთხვევაში, თუ იარსებებს შესაბამისი ობიექტური საფუძველი ან გარემოება. აუდიტის პროცესის შედეგად გაიცემა რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავს გამოვლენილი ხარვეზების, სისუსტეების ან კონკრეტული მიზეზების აღმოფხვრას. რეკომენდაციების შესრულება ხელს შეუწყობს ორგანიზაციების საქმიანობის ეფექტიანობის, გამჭვირვალობისა და მართვის ხარისხის გაუმჯობესებას.

კომისიის წევრი მ. ნიჟარაძე: ემთხვევა თუ არა თქვენ მიერ გაცემული რეკომენდაციები სახელმწიფო აუდიტის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს? ხარვეზების აღმოფხვრის მონიტორინგს თუ ახორციელებთ?

შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი გ. სანდუხაძე: ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან. მათი მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულნი ვართ, მივაწოდოთ შესაბამისი ანგარიშები. ხშირ შემთხვევაში ჩვენი რეკომენდაციები მსგავსი შინაარსის არის. დიახ, ვახორციელებთ ხარვეზების აღმოფხვრის მონიტორინგს.

კომისიის წევრი ე. არჩაია: ყველაზე საგანგაშო მდგომარეობა სად არის?

შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი გ. სანდუხაძე: ჩვენს სამსახურში არსებობს რეკომენდაციების რუკა, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება, რომელი რეკომენდაციის შესრულება მოგვიტანს მეტ შედეგს.

კომისიის წევრი მ. ნიჟარაძე: რეკომენდაციის გაცემისას კანონმდებლობით თუ არის განსაზღვრული ვადა?

შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი გ. სანდუხაძე: დიახ, ჩვენ მიერ განსაზღვრული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს. თუმცა, კანონმდებლობით დაშვებულია გამონაკლისი შემთხვევებიც — შესაბამისი დასაბუთების არსებობისას ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს. მაგალითად, ზოგიერთი რეკომენდაციის შესრულებას სჭირდება ფინანსური რესურსი ან სტრუქტურული ცვლილებები, რაც დროში გაწელვადი პროცესია.

კომისიის წევრი მ. ნიჟარაძე: თქვენი რეკომენდაციების საფუძველზე განხორციელებულა თუ არა სტრუქტურული ცვლილებები?

შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი გ. სანდუხაძე: ზოგიერთ ობიექტში, დებულებაში შეტანილი ცვლილებების შემდეგ, განხორციელდა სტრუქტურული ცვლილებებიც, რაც შტატების შექმნას ან გაუქმებას გულისხმობდა.

კომისიის თავმჯდომარე ბ. ჩეჩელაშვილი: ძირითადად რა სახის რეკომენდაციებს გასცემთ?

შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი გ. სანდუხაძე: რეკომენდაციები ძირითადად უკავშირდება კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს, ასევე — ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების საკითხებს. მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ რეკომენდაციებში გათვალისწინებული იყოს ისეთი საკითხები, რომლებიც ხელს შეუწყობს შემოსავლების ზრდასა და ბიუჯეტის ეკონომიას. ჩვენ ანგარიშვალდებული ვართ ქალაქ ქუთაისის მერის წინაშე.

კომისიის წევრი ალ. მიქაუტაძე: თქვენი სამსახური მერიის დაქვემდებარებაშია და კარგი იქნება, თუ იგი საკანონმდებლო ორგანოს დაქვემდებარებაში გადავა, რათა ობიექტების შემოწმება მათი მხრიდან განხორციელდეს.

კომისიის წევრი მ. ნიჟარაძე: თქვენ, ალბათ, სისტემური ცვლილებების განხორციელებას გულისხმობთ?

შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი გ. სანდუხაძე: ჩემი აზრით, საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია, თუმცა ასეთ შემთხვევაში ეს აღარ იქნება შიდა აუდიტის სამსახური. ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის გარე აუდიტსა და ზედამხედველობას სახელმწიფო აუდიტის სამსახური ახორციელებს.

კომისიის წევრი ალ. მიქაუტაძე: რა ტიპის სამართლებრივ შენიშვნებზე არის საუბარი? უფრო დეტალურად, რომ გვითხრათ მატერილური ფასეულობების ეფექტური

დაცვისა და აღრიცხვის მიზნით მეტი შემოსავლების მიღების შესაძლებლობაზე საუბრობთ განმარტებით ბარათში თუ შეიძლება გაგვიმარტოთ აღნიშნული საკითხი.

შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი გ. სანდუხაძე: მესმის, რომ საკრებულოს წევრებისთვის საინტერესოა დეტალები, თუმცა, სამწუხაროდ, შიდა ფინანსური კონტროლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ვალდებული ვარ, არ გავასაჯაროვო ის დეტალები, რომლებიც აუდიტორული შემოწმების პროცესში გახდა ჩემთვის ცნობილი.

კომისიის წევრი გ. ჭიღვარია: მინდა დავამატო- შიდა აუდიტის სამსახურის მოვალეობაა, რომ მერს დროულად აცნობოს ყველა იმ დოკუმენტისა და ფაქტის შესახებ, სადაც შეიძლება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები იკვეთებოდეს. თუ ასეთი კანონდარღვევა დადასტურდება ან ეჭვი მაინც გაჩნდება, მერი ამ ინფორმაციას უკვე გადასცემს შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს, რომ მოხდეს შემდგომი რეაგირება კანონით დადგენილი წესით.

შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი გ. სანდუხაძე: საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან დაკავშირებით გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც კონკრეტულ პოზიციებზე დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად უმაღლესი განათლება აუცილებელი არ იყო, თუმცა საკვალიფიკაციო მოთხოვნებში მაინც განსაზღვრული იყო უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის წარდგენა. აღნიშნულ სამსახურში თანამშრომელთა რაოდენობა მცირე იყო, რის გამოც საკითხი განსაკუთრებით გამოიკვეთა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ გავეცით რეკომენდაცია, რომ შესაბამის პოზიციებზე საკვალიფიკაციო მოთხოვნები დაკისრებულ ფუნქციებსა და მოვალეობებთან შესაბამისობაში მოყვანილიყო — სადაც საჭირო იყო, გაუქმებულიყო უმაღლესი განათლების მოთხოვნა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, პირიქით, დამატებულიყო.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონმა ბესიკ ჩეჩელაშვილმა აღნიშნა:

თუ დამატებითი შეკითხვები არ არის, გადავიდეთ კენჭისყრაზე — ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2025 წლის იანვრიდან 2026 წლის აპრილამდე გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების საკითხზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე — 11

მოწინააღმდეგე — 0

თავი შეიკავა — 0

დადგინდა: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2025 წლის იანვრიდან 2026 წლის აპრილამდე გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია ცნობად იქნა მიღებული.

ამით კომისიის სხდომა დასრულდა.

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე



ბესიკ ჩეჩელაშვილი